საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01–04/115

ქ. ქუთაისი

25.11. 2020 წელი

„სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთიკის კომისიის დამტკიცების თაობაზე“ სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 25 მაისის №01-04/32 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთიკის კომისიის დამტკიცების თაობაზე“ სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 25 მაისის №01-04/32 ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის ეთიკის კომისიის აკადემიური საბჭოს მიერ არჩეულმა წევრმა, უნივერსიტეტის პროფესორმა ავთანდილ ნიკოლეიშვილმა გაცხადებით მომართა ადმინისტრაციას და მოითხოვა ეთიკის კომისიის წევრობიდან გათავისუფლება, რასაც ითვალისწინებს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგელობითი საბჭოს 2016 წლის 23 თებერვლის №61 დადგენილებით დამტკიცებული ეთიკის კოდექსის 21-ე მუხლის მე-9 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვითაც უნივერსიტეტის ეთიკის კომისიის წევრობიდან გათავისუფლების ერთ-ერთ საფუძვლად მითითებულია პირადი განცხადება.

აღნიშნული განცხადებიდან გამომდინარე, სსიპ - აკაკი წერეთლი სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს „აწსუ ეთიკის კომისიაში აკადემიური საბჭოს მიერ წარდგენილი კანდიდატურის შესახებ“ 2020 წლის 06 ნოემბრის №11 (2020-2021) დადგენილებით, ნაცვლად ავთანდილ ნიკოლეიშვილისა უნივერსიტეტის ეთიკის კომისიაში არჩეული იქნა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი დავით შავიანიძე, რომელმაც დააფიქსირა თავის წერილობითი თანხმობა ეთიკის კომისიის წევრობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგელობითი საბჭოს 2016 წლის 23 თებერვლის №61 დადგენილებით დამტკიცებული ეთიკის კოდექსის 21-ე მუხლის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება „სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთიკის კომისიის დამტკიცების თაობაზე“ სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის

რექტორის 2020 წლის 25 მაისის №01-04/32 ბრძანების პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„გ) უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი დავით შავიანიძე - უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ არჩეული;“

2. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საიფორმაცი დაფაზე ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე ღიად მისი საჯაროობისა და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით.

3. უნივერსიტეტის კანცელარიამ უზრუნველყოს ამ ბრძანების საინფორმაციო დაფაზე განთავსება. უნივერსიტეტის მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახურმა ეს ბრძანება განათავსოს უნივერსიტეტის ვებ–გვერდზე.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

უნივერსიტეტის რექტორი: **პროფესორი როლანდი კოპალიანი**

ასლი დედანთან სწორია: **კანცელარიის უფროსი ე.ცირეკიძე**